

თბილისის უნივერსიტეტის შრომები
Труды Тбилисского университета
PROCEEDINGS OF TBILISI UNIVERSITY
334 (1)

დასავლეთ ევროპის ენები და ლიტერატურა
Западноевропейские языки и литература
Western European Languages and
Literatures

თბილისი - Тбилиси-Tbilisi
1999

**ფრანკოლოგიურ არგოტიკოთა
სტრუქტურულ-ფუნქციური ტიპები
თანამედროვე ფრანგულ სასკოლო არგოში**

ფრანკოლოგიზაცია სემანტიკური სიტყვათწარმოების ტიპია, რომელიც ახალ სიტყვებს აწარმოებს. ეს სიტყვები ენაში არსებულ სიტყვათა ომონიმებად გვევლინება. ფრანკოლოგიურ ერთეულთა სტილისტური ფუნქციები ვლინდება ორ ძირითად თვისებაში: 1. ეს ერთეული განეკუთვნება მეტყველების გარკვეულ ფენას; 2. მათ აქვთ ექსპრესიულ-ემოციური შეფერილობა. გამოყენების სფეროს მიხედვით, ფრანგული ენის ფრანკოლოგიური ერთეულები შეიძლება განეკუთვნებოდეს მეტყველების სხვადასხვა სტილს, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ამ ერთეულთა შემდეგი სტილისტური კატეგორიები: 1. ნეიტრალური ან ნეიტრალურ-ლიტერატურული ფრანკოლოგიზმები; 2. სასაუბრო-ფამილარული ფრანკოლოგიზმები; 3. ხალხური ფრანკოლოგიზმები; 4. ჟარგონული ფრანკოლოგიზმები. ეს ბოლო ჯგუფი თავის მხრივ იყოფა შემდეგ ტიპებად:

ა) პროფესიული ჟარგონიზმები. ფრანკოლოგიზმების გამოყენების სფეროა გარკვეული პროფესიული წრე;

ბ) სოციალური ჟარგონიზმები. ამ ფრანკოლოგიზმების გამოყენების სფეროა გარკვეული სოციალური წრე;

გ) არგოტიზმები – ჟარგონული ფრანკოლოგიზმები, რომელსაც იყენებენ ფრანგული საზოგადოების დეკლასირებული ელემენტები (პროფესიონალი მათხოვრები, ქურდები და ა.შ.)

თანამედროვე ფრანგული ენის ფრანკოლოგიზმები იყოფა სამ ძირითად სტრუქტურულ ტიპად: 1. არაპრედიკატული ფრანკოლოგიზმები; 2. ნაწილობრივ არაპრედიკატული ფრანკოლოგიზმები; 3. პრედიკატული ფრანკოლოგიზმები.

სემანტიკური კლასიფიკაციის მიხედვით ფრანკოლოგიზმების 2 ტიპი გამოიყოფა:

1. იდიომები ანუ ფრანკოლოგიზმები, რომელთა შემადგენელი კომპონენტები აზრობრივად ორმხრივადაა დამოკიდებული;

2. უნილატერალური ფრანკოლოგიზმები, რომელთაც ახასიათებთ ცალმხრივი აზრობრივი დამოკიდებულება. ამ ტიპის ფრანკოლოგიზმებში ერთი კომპონენტი აუცილებლად პირდაპირი, ვიუზუალური მნიშვნელობით გამოიყენება.

სასკოლო არგოში ფრანკოლოგიურ ერთეულთა რიცხვი არცთუ ისე დი-

ღია.

ფრაზეოლოგიზმის წარმოქმნისათვის ძირითადი ელემენტი არგოტული სიტყვა იქნება. ნ. პოტოცკაია წერდა: „ახალი ფრაზეოლოგიზმების წარმოქმნის პროცესში არსებობს ტენდენცია იმისა, რომ ადამიანთა ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები ფართოდ აისახოს“ [4, 146].

განვიხილოთ თემატური ჯგუფი: „სასწავლო დაწესებულება“. იგი წარმოდგენილია 7 ერთეულით. მაგალითად: Fosse a' lions – ნიშნავს „სენ-სირის სკოლას“; სტრუქტურული თვალსაზრისით ეს არაპრედიკატული ფრაზეოლოგიზმია; სემანტიკური თვალსაზრისით – იდიომი, არაკომუნიკაციური ფრაზეოლოგიზმია, ნომინაციური ტიპისა. გრამატიკული სტრუქტურა: S+prep+S.

Porte des marechaux – „ფიზიკის აუდიტორია“. სტრუქტურული თვალსაზრისით, არაპრედიკატული ფრაზეოლოგიზმია, სემანტიკურად – იდიომი. არაკომუნიკაციური ფრაზეოლოგიზმია, სუბსტანტივირებული ტიპის. გრამატიკული სტრუქტურა: S+prep+S.

baite a chaque – „სასწავლო დაწესებულება“. სტრუქტურულად, არაპრედიკატული ფრაზეოლოგიზმია, სემანტიკურად – იდიომი. არაკომუნიკაციური ფრაზეოლოგიზმია, სუბსტანტივირებული ტიპისა. გრამატიკული სტრუქტურა: S+prep+S.

fosse aux ours – „ფიზიკის აუდიტორია“. სტრუქტურული თვალსაზრისით, არაპრედიკატული ფრაზეოლოგიზმია, სემანტიკურად კი იდიომი. არაკომუნიკაციური ფრაზეოლოგიზმია, სუბსტანტივირებული ტიპის. გრამატიკული სტრუქტურა: S+prep+S.

hotel des haricots – „მონტევიუს სახელობის კოლეჯი“. სტრუქტურული თვალსაზრისით, არაპრედიკატული ფრაზეოლოგიზმია, სემანტიკურად უნილატერალური ფრაზემა. არაკომუნიკაციური ფრაზეოლოგიზმია, სუბსტანტივირებული ტიპის. გრამატიკული სტრუქტურა: S+prep+S.

Pont des soupirs – „პოლიტექნიკური ინსტიტუტის გადასასვლელი ხიდი“. სტრუქტურულად, არაპრედიკატული ფრაზეოლოგიზმია, სემანტიკურად – უნილატერალური ფრაზემა. არაკომუნიკაციურია, სუბსტანტივირებული ტიპის. გრამატიკული სტრუქტურა: S+prep+S.

Cour malgache – „სენ-სირის სასწავლებელში ადგილი, სადაც უფროსკლასელები ახალბედებს ქუდებს უცვლიან“. სტრუქტურულად, არაპრედიკატული ფრაზეოლოგიზმია, სემანტიკურად უნილატერალური ფრაზემა. არაკომუნიკაციური ფრაზეოლოგიზმია, ადექტივიური ტიპის. გრამატიკული სტრუქტურა: S+Adj.

ყველა განხილული ფრაზეოლოგიზმი ხასიათდება მნიშვნელობის ხატოვანი გადააზრებით. ადგილი აქვს მეტაფორულ გადააზრებას. სწორედ ეს გახლავთ ფრანგული ენის არგოტულ ფრაზეოლოგიზმთა ფონდის გამდიდრების მნიშვნელოვანი წყარო. ჩავატაროთ ეტიმოლოგიური ანალიზი. fosse a lions ფრაზეოლოგიზმის პირდაპირი მნიშვნელობაა „ლომების ორმო“.

ლომი მძვინვარე და მრისხანე ცხოველია, ტყის მეფე. ორმოში აგდებენ სიკვდილმისჯილ ადამიანებს. გადატანითი მნიშვნელობით ეს ფრაზეოლოგიზმი ნიშნავს „სკოლას“. ვინაიდან იგი სასკოლო არგოს განეკუთვნება, რათა ამ ენის არამცოდნე დააბნიოს და გაუგებარი გახადოს მეტყველება.

ჩატარებულმა ანალიზმა დაგვანახა, რომ თემატურ ჯგუფში „სასწავლო დაწესებულება“ გაერთიანებულ არგოტულ ფრაზეოლოგიზმთა წარმოქმნაში მეტ-ნაკლებად მონაწილეობს არგოტული სიტყვები. ყველა მათგანი სტრუქტურული თვალსაზრისით არაპრედიკატულია, სემანტიკურად იდიომია. არაკომუნიკაციურია, სუბსტანტივირებული ტიპის. დომინანტური გრამატიკული სტრუქტურაა: S+prep+S. მხოლოდ ერთი ერთეულისთვისაა სტრუქტურა S+Adj. ფრაზეოლოგიურ ერთეულში მთავარია კრიპტოლოგიური ფუნქცია, შემდეგ გასართობი ფუნქცია, ხოლო მისი თვითმყოფადობა ბოლო ადგილზეა. ამით განსხვავდება ფრაზეოლოგიზმი არგოტული ერთეულისაგან. ფრაზეოლოგიური ერთეულები მუდმივ განვითარებაშია. ზოგი წარმოიქმნება, ზოგი დაეიწყებას მიეცემა, ზოგიც კი ლექსიკონშია დაფიქსირებული და დროის ცვლილებამ კვალიც კი ვერ დაამჩნია მათ.

ლიტერატურა:

1. Esnault G. , Dictionnaire des argots , Paris, Larousse, 1965.
2. Caradee F. . Dictionnaire du francais argotique et populaire, Paris. Larousse, 1977.
3. Назарян А.Ф. , Фразеология современного французского языка, Т. Высшая школа , 1976.
4. Потockая Н.П. , Стилистика современного французского языка, Т. Высшая школа, 1974.